ქართველი ხალხი საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის, ეროვნული თავისუფლების მოპოვებისათვის ყოველთვის გამოდიოდა არსებული მდგომარეობიდან, რომლის დროს საქართველოს საშინაო და სა-ერთა-შორისო მდგომარეობა, განსაზღვრავდა მოქმედების ხაზს, და ქართველი ხალხი, როგორც ჩანს, არა მარტო ეროვნული ძალების დაზოგვის მიზნით, მივიდა, ამჯერად, აჯანყებიდან მშვიდობიან დემონსტრაციამდე, რაც იმაზე მეტყველებს, რომ ქართველი ხალხი თვით განსაზღვრავს ადგილზე თავის მოქმედების პოზიციას, და მას არსებულ კონკრეტულ სიტუაციას უფარდებს. ქართველი ხალხის აი ამგვარმა გონიერმა მოქმედებამ დაბადა 1918 წლის 26 მაისი, და ამ დიდი ისტორიული მნიშვნელობის აქტით, ე.ი. საქართველოს დამოუკიდებლობისა და სუვერენობის ისევ აღდგენით, სამოქალაქო ომი და დაქცევა-განადგურება თავიდან აიცილა.

1924 წლის 28-29 აგვისტოს საერთო სახალხო აჯანყების 60 წლისთავზე კი კიდევ ერთხელ ქედი მოვიხაროთ დაღუპულ გმირთა წინაშე, რომლებმაც თავი შესწირეს საქართველოს, ქართველი ერის თავისუფლებას. საუკუნო იყოს ხსენება მათი!...

კარლო ინასარიძე

ლევილი, 1984 წლის აგვისტო

ინტერვიუ:
ვალიკო ჩუბინიძე

ქართული რედაქცია - რადიო"თავისუფლება"
ავტორი,დიქტორი: დავით თაზორიძე

ც ი კ ლ ი: **აჯანყებიდან მშვიდობიან დემონსტრანიამდე**

**1924 წლის 28-29 აგვისტოს აჯანყების 60 წლისთავი**

წამყვანი: (სიგნალი....)
1924 წლის 28-29 აგვისტოს სახალხო აჯანყების 60-ე წლისთავთან დაკავშირებით, გადმოგცემთ მორიგ გადაცემას ციკლიდან "აჯანყებიდან მშვიდობიან დემონსტრაციამდე". გესაუბრებათ დავით თაზორიძე:
("თავისუფლების ჰიმნი"...)

დიქტორი:

ქართველი ხალხი, თავისი საუკუნოვანი ისტორიის მანძილზე, ყოველთვის ცდილობდა ეროვნული თავისუფლებისათვის ბრძოლის ტაქტიკის არსებულ პირობებთან შეგუებას, რაც განპირობებული იყო იმით, რომ თავიდან ყოფილიყო აცილებული ჩვენი ხალხის უაზრო სისხლის ღვრა. ამით უნდა აიხსნას ის ფაქტიც, რომ 1924 წლის 28-29 აგვისტოს აჯანყების შემდეგ, ქართველი ერი მშვიდობიანი დემონსტრაციების გზას დაადგა, თუმცა 1956 წელს, 9 მარტს, თბილისის სტუდენტებისა და ახალგაზრდა მუშების მშვიდობიანი დემონსტრაცია მაინც სისხლისღვრით იქნა ჩახშობილი. მაგრამ დემონსტრანტებმა, ამ ტრაგიკულ მომენტშიც, ძალადობას არ მიმართეს. 1958 წლის 14 აპრილს კი, თბილისში, მასობრივი დემონსტრაცია, რ ო მ ე ლ ი ც ქართული ენის სახელმწიფოებრივი სტატუსის დაცვას მოითხოვდა,-მშვიდობიანად და წარმატებით დამთავრდა, რის შედეგად საბჭოთა საქართველოს კონსტიტუციაში ისევ შეტანილ იქნა მუხლი ქართული ენის საქართველოს სახელმწიფო ენად აღიარების შესახებ.

მაგრამ, როგორც ჩანს, ყოველთვის შეუძლებელი ხდება ერმა თავი აარიდოს ძალის გამოყენებას, და ამგვარი ტრაგიკული თარიღია 1924 წლის 28-29 აგვისტო, როცა ქართველი ხალხი ბოლშევიკური რეჟიმის წინააღმდეგ ამხედრდა. გავეცნოთ ზოგიერთ მასალას საქართველოს, ქართველი ერის ამ საბედისწერო აჯანყებისა და მისი შედეგების შესახებ.

(სკრიპტი,ინტერვიუ,საუბარი....)

წამყვანი: ეს იყო ჩვენი მორიგი გადაცემა ციკლიდან -"აჯანყებიდან მშვიდობიან დემონსტრაციამდე" - 1924 წლის 28-29 აგვისტოს აჯანყების 60-ე წლისთავთან დაკავშირებით. გესაუბრებოდათ დავით თაზორიძე.
("თავისუფლების ჰიმნი"...)

ლაპარაკობს რადიო თავისუფლება!..
(სიგნალი....)

ეროვნული ბიბლიოთეკა



1.9.82 წ.

~~27.8.82 წ.~~

ქართული რედაქცია - რადიო"თავისუფლება"

ავტორი,დიქტორი: დავით თაბორიძე

აგვისტოს აჯანყების 58-ე წლისთავი:

წამყვანი: მიმდინარე 1982 წლის 28-ა და 29-ა აგვისტოს სრულდება, პატივცემულო მსმენელებო, აგვისტოს აჯანყების 58-ე წლისთავი. რა შეიძლება ითქვას ამ თარიღთან დაკავშირებით? - მიკროფონთან არის დავით თაბორიძე:

დიქტორი: 1924 წლის საქართველოს ხალხის აჯანყების გასაღები ჩვენი ერის მამულისადმი უზომო სიყვარულში უნდა ვეძიოთ - ამ სიტყვებით მსურს ავსახო ქართველი ხალხის ისტორიის ეს ტრაგიკული მოვლენა. რა მოხდა?..

მოხდა ის, რომ საბჭოთა რუსეთის მთავრობამ,ლენინის მეთაურობით, ჯერ, 1920 წლის 7-ლ მაისს დადო საზავო ხელშეკრულება საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკასთან,რომლითაც დე ფაქტო და დე იურე იცნო საქართველოს დამოუკიდებლობა,მაგრამ შემდეგ ,ომის გამოუცხადებლად, თავს დაესხა საქართველოს 1921 წლის თებერვალ-მარტში და იარაღის ძალით მოსპო საქართველოს დამოუკიდებლობა და სუვერენობა. ამასთანავე დაიწყო საქართველოში ყველაფერი ეროვნულის დევნა-შევიწროება,ხოლო საქართველოს ტერიტორია ისე დანაწილებულ იქნა, რომ დამოუკიდებელი საქართველოს 90-ი-ათასი კვადრატულ კილომეტრის ტერიტორიიდან საბჭოთა საქართველოში დარჩა მხოლოდ 70-ი-ათასი კვადრატული კილომეტრი. ამას თან მოყვა თავაშვებული რეპრესიები, რომლის დროს ათასობით ქართველი პატრიოტები დაპატიმრებულ,დახვრეტილ თუ გადასახლებულ იქნენ,რამაც ისე აღაშფოთა ქართველი ხალხი,

რომ 1924 წლის 28-29 აგვისტოს საქართველოში

იფეთქა . . სახალხო აჯანყებამ.

ბოლშევიკებმა ისევ შესძლო საქართველოზე მათი ბატონობის განმტკიცება და ისევ დაიწყო . დახვრეტები . არა მარტო 1924 წლის აჯანყებაში მონაწილეებისა, არამედ იმ პერებისაც კი, რომლებიც აჯანყების დროს ციხეებში იყვნენ ჩამწყვდეულნი და ამრიგად აჯანყებაში მონაწილეობის მიღება არ შეეძლოთ.

1924 წლის აჯანყების დამარცხების შემდეგ, საბჭოთა საქართველოს უზენაესმა სასამართლომ გაასამართლა ამ აჯანყების ხელმძღვანელები, მათ შორის, "დამკომის", ე.ი. დამოუკიდებლობის კომიტეტის თავჯდომარე - კოტე ანდრონიკაშვილი. ხელთ მაქვს სტენოგრაფიული ანგარიში "დამოუკიდებელი კომიტეტის" პროცესზე წარმოთქმული მრავალი სიტყვებისა, რომლისაგან მსურს გაგაცნოთ ზოგიერთი ამონაწერი, რომლებიც სინათლეს ჰფენენ 1924 წლის აგვისტოს აჯანყების მიზანსა და მსვლელობას.

აი ამონაწერი კოტე ანდრონიკაშვილის პირველი სიტყვიდან, "დამოუკიდებლობის კომიტეტის" პროცესზე თბილისში, 1925 წლის 22-ს ივლისს.

საბჭოთა საქართველოს უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარის შეკითხვაზე თუ რომელ პარტიას ეკუთვნოდა კოტე ანდრონიკაშვილი, - მან უპასუხა: "საქართველოს სოციალ-დემოკრატიულ პარტიას 1902 წლიდან". ანდრონიკაშვილი შემდეგ მოუთხრობს სასამართლოს, რომ ის მეფის რუსეთის დროს იყო "უფლება აყრილი თავადი", ორჯერ იყო მიცემული პასუხისგებაში პოლიტიკური მოქმედების გამო, სასამრთლო პალატამ მიუსაჯა სამუდამო გადასახლება ციმბირში, აყარა თავადობასთან დაკავშირებული ყველა პრივილეგია. შეეხო რა 1924 წლის აგვისტოს აჯანყების ისტორიას, კოტე ანდრონიკაშვილმა, სხვათა შორის, განაცხადა:

ეროვნული ბიბლიოთეკა



"მე მბრალდება აჯანყების სათავეში დგომა და ხელმძღვანელობა. ამიტომ...საჭიროა...ახსნა-განმარტება იმ პირობების,რომელშიაც ჩაისახა მოწყობა აჯანყებისა საქართველოს დამოუკიდებლობის აღსად-გენად...პოლიტიკური პარტიები დღიდან საქართველოს ოკუპაციისა... გადავიდენ შეტევაზე საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ...დღეს არც ერთი პასუხისმგებელი კომუნისტი აღარ იმეორებს იმ ზღაპარს, თითქოს 1921 წელს საქართველოში მუშებმა და გლეხებმა მოახდინეს გადატრიალე-ბა, ჩამოაგდეს საქართველოს დემოკრატიული მთავრობა,რისთვისაც და-სახმარებლად მოიწვიეს საბჭოთა რუსეთიდან წითელი ჯარი. დღეს აღარ მალავენ, რომ საქართველოში შემოიყვანეს რუსის ჯარი და მას მოუხდი-ნეს ოკუპაცია...დიახ,საქართველო დაიპყრო საბჭოთა რუსეთმა. ეს ფაქტია. როგორ შეხვდა ამ ფაქტს ქართველი ხალხი,ქართულიიპოლიტიკური პარტიები? რასაკვირველია, რომ იგინი ვერ შეურიგდენ ოკუპაციას...1921 წელს თბილისში ჩამოვიდა სტალინი.მან პლეხანოვის სახელობის თეატრში გაა-კეთა მოხსენება...მთელი დარბაზი განწყობილი იყო მის წინააღმდეგ... კომპარტიის ცეკამ გამოიტანა დადგენილება...იქ ნათქვამია:"მოისმინა რა სტალინის მოხსენება, ცეკამ დაადგინა დაუყონებლივ იქნენ დაპა-ტიმრებულნი პასუხისმგებელი-მენშევიკებიო"...ხელისუფლება შეუდგა დაჭერას არა მარტო მენშევიკების,არამედ ყველა ქართულ პოლიტიკურ პარტიებისას.ციხეები გაივსო პატიმრებით...ჩვენი ძალების იმედით ჩვენ გადავდგით ნაბიჯი. ჩვენ ვიყავით საკმაოდ მომზადებულნი და კიდევაც გავიმარჯვებდით, თუ არა ის საბედისწერო შეცდომა,რომელიც უკვე აღნიშნა იასონ ჯავახიშვილმა: ესაა ჭიათურაში თითქმის ერთი დღით ადრე გამოსვლა. სწორედ ამან გადაწყვიტა აჯანყების ბედი.ამ გარემოებამ გააფრთხილა ხელისუფლება მიელო დროზე ზომები და ჩვენი მთავარი ამოცანა - ვაზიანში მყოფი მთელი ამიერკავკასიის არტილერიის აღება - ვერ შესრულდა...ჩვენი გეგმა იყო თბილისის აღება და ადვილიც იყო მისი აღება."ასე თქვა კოტე ანდრონიკაშვილმა,"დამო-უკიდებლობის კომიტეტის" თავჯდომარემ და ხელმძღვანელმა-1924 წლის

ეროვნული ბიბლიოთეკა



აგვისტოს აჯანყების შესახებ. იასონ ჯავახიშვილმა კი საქართველოს უმაღლესი სასამართლოს 1925 წლის 31 ივლისის სხდომაზე,სხვათა შორის, განაცხადა:

"...26 მაისი 1918 წლის..........გამოვაცხადეთ საქართველოს დამოუკიდებლობა. ჩვენ ყველანი,განურჩევლათ პარტიისა,ვიბრძოდით საქართველოს დამოუკიდებლობის განსამტკიცებლად...რა მოხდა 1921 წლის თებერვალში? ...რუსეთის შეიარაღებული თავდასხმა საქართველოზე...არავითარი ეჭვის შეტანა არ შეიძლება რადეკის გულწრფელობაში,როცა ის სამი ინტერნაციონალის შეერთებულ კრებაზე აცხადებდა:"რუსეთმა იმიტომ დაიპყრო საქართველო, რომ უნდოდა უზრუნველეყო ნავთობის მისადგომი გზები-ო".

დამოუკიდებელი საქართველოს პრეზიდენტმა და მთავრობის თავჯდომარემ - ნოე ჟორდანიამ- 1924 წლის აგვისტოს აჯანყების წლისთავზე გააკეთა განცხადება,რომელიც,სხვათა შორის, ნათქვამია:

"საქართველოს საკურთხეველზე დიდი მსხვერპლია მიტანილი...""ჭირსა შიგან გამაგრება ისე უნდა ვით ქვითკირსა"...მომავალი ჩვენია, გადახედეთ ჩვენს ისტორიას, სადა არიან საქართველოს ძველი მტარვალნი?- ჟამთა ბრუნვამ მათ გაუთხარა საფლავი. ქართველ ხალხს დღეს მართებს მოთმინება,გამაგრება,მომავლისაკენ იმედიანად გახედვა..."

გესაუბრებოდათ დავით თაბორიძე!..
==============================

ეროვნული ბიბლიოთეკა

ინტერვიუ:

მარიამ მელოუ!

ქართული რედაქცია - რადიო"თავისუფლება"

ავტორი,დიქტორი: დავით თაბორიძე

=======================================

ც ი კ ლ ი: აჯანყებიდან მშვიდობიან დემონსტრანიამდე
==========

1924 წლის 28-29 აგვისტოს აჯანყების 60 წლისთავი

წამყვანი: (სიგნალი....)
========= 1924 წლის 28-29 აგვისტოს სახალხო აჯანყების 60-ე წლისთავთან დაკავშირებით, გადმოგცემთ მორიგ გადაცემას ციკლიდან "აჯანყებიდან მშვიდობიან დემონსტრაციამდე". გესაუბრებათ დავით თაბორიძე:

("თავისუფლების ჰიმნი"...)

დიქტორი:
========

ქართველი ხალხი, თავისი სახელმწიფოებრივი ისტორიის მანძილზე, ყოველთვის ცდილობდა ეროვნული თავისუფლებისათვის ბრძოლის ტაქტიკის არსებულ პირობებთან შეგუებას, რაც განპიროვნებული იყო იმით, რომ თავიდან ყოვილიყო აცილებული ჩვენი ხალხის უაზრო სისხლის ღვრა. ამით უნდა აიხსნას ის ფაქტიც, რომ 1924 წლის 28-29 აგვისტოს აჯანყების შემდეგ, ქართველი ერი მშვიდობიანი დემონსტრაციების გზას დაადგა, თუმცა 1956 წელს, 9 მარტს, თბილისის სტუდენტებისა და ახალგაზრდა მუშების მშვიდობიანი დემონსტრაცია მაინც სისხლისღვრით იქნა ჩახშობილი. მაგრამ დემონსტრანტებმა,ამ ტრაგიკულ მომენტშიც, ძალადობას არ მიმართეს. 1958 წლის 14 აპრილს კი , თბილისში, მასობრივი დემონსტრაცია, რ ო მ ე ლ ი ც ქართული ენის სახელმწიფოებრივი სტატუსის დაცვას მოითხოვდა,-მშვიდობიანად და წარმატებით დამთავრდა, რის შედეგად საბჭოთა საქართველოს კონსტიტუციაში ისევ შეტანილ იქნა მუხლი ქართული ენის საქართველოს სახელმწიფო ენად აღიარების შესახებ.

მაგრამ, როგორც ჩანს, ყოველთვის შეუძლებელი ხდება ერმა თავი აარიდოს ძალის გამოყენებას, და ამგვარი ტრაგიკული თარიღია 1924 წლის 28-29 აგვისტო, როცა ქართველი ხალხი ბოლშევიკური რეჟიმის წინააღმდეგ ამხედრდა. გაგვეცნოთ ზოგიერთ მასალას საქართველოს, ქართველი ერის ამ საბედისწერო აჯანყებისა და მისი შედეგების შესახებ.

(სკრიპტი,ინტერვიუ,საუბარი....)

წამყვანი: ეს იყო ჩვენი მორიგი გადაცემა ციკლიდან -"აჯანყებიდან
========= მშვიდობიან დემონსტრაციამდე" - 1924 წლის 28-29 აგვისტოს აჯანყების 60-ე წლისთავთან დაკავშირებით. გესაუბრებოდათ დავით თაბორიძე.

("თავისუფლების ჰიმნი"...)

ლაპარაკობს რადიო თავისუფლება!..
(სიგნალი....)

=============================

ინტერვიუ: მირიან მელუა:



## ინტერვიუ: მირიან მელუა 1924 წლის აგვისტოს აჯანყების შესახებ:

წამყვანი: ახლა გაგაცნობთ ინტერვიუს მირიან მელუასთან 1924 წლის აგვისტოს აჯანყების შესახებ. ჯერ კი ზოგიერთი ცნობა მისი ცხოვრების და მოღვაწეობის შესახებ:

მირიან მელუა დაიბადა 1903 წლის 3 აგვისტოს სოფელ ასკანაში.

სწავლა დაიწყო თავისივე სოფელში; შემდეგ სწავლობდა სოფელ ნაგომარში, და 1923 წელს დაამთავრა გიმნაზია ოზურგეთში.

პირველი პოლიტიკური, ასე ვთქვათ, "ნათლობა" მირიან მელუამ მიიღო 1922 წელს, როცა ის დამოუკიდებელი საქართველოს დაპყრობის პირველ წლისთავზე - დემონსტრაციაში მონაწილეობისათვის - დააპატიმრეს; მაგრამ მალე გამოუშვეს. სამაგიეროდ, 1923 წელს მირიან მელუას არ მისცეს თბილისის უნივერსიტეტში სწავლის უფლება, როგორც არასაიმედო პირს. ამ დროს მირიან მელუა მუშაობდა არალეგალურად "ახალგაზრდა სოციალისტ-დემოკრატების" ორგანიზაციაში და იყო ამ ორგანიზაციის სამაზრო კომიტეტის წარმომადგენელი თბილისში.

1924 წლის აგვისტოს აჯანყების წინა პერიოდში, მირიან მელუა ჩავიდა გურიაში, სადაც - ნასაკირალთან ახლოს - გაცხარებული მზადება იყო აჯანყებისათვის; და როცა 1924 წლის 29 აგვისტოს აჯანყება დაიწყო, მირიან მელუა - 29 აგვისტოს დილის პირველი საათიდან - ამ აჯანყების აქტიური მონაწილე იყო. თვით მირიან მელუა მოგვითხრობს, რომ აჯანყებულებმა, სიმონ გოგიბერიძის ხელმძღვანელობით, ავიღეთ დაბა ნაგომარი. მაშინვე მოხდა თავდაცვის კომიტეტის არჩევა, რომლის თავჯდომარედ მირიან მელუა აირჩიეს, და ასე გახდა ნაგომარი აჯანყებულთა სამაზრო ცენტრი, რომელიც შვიდი დღის განმავლობაში ხელისუფლების სათავეში იდგა. 1924 წლის 29 აგვისტოს დაწყებული და გამარჯვებული აჯანყება, დამარცხდა ხუთ სექტემბერს, რის შემდეგ აჯანყებულებმა თავი შეაფარეს ტყეს. 1924 წლის ოქტომბერში კი აჯანყებულებმა დატოვეს საბჭოთა საქართველო და გადავიდნენ ბორჩხაში, რომელიც მაშინ უკვე თურქეთის მიერ იყო დაპყრობილი.

ეროვნული ბიბლიოთეკა



ჩორჩხიდან, მოგვითხრობს მირიან მელუა, - ჩავიდეს ართვინში,სადაც თურქებიდან მიიღო დოკუმენტები და გემით გაემგზავრენ საფრანგეთში- 1924 წლის დეკემბერში.

მირიან მელუა საფრანგეთში მუშაობდა ჯერ ქალაქ გრანვილის ქიმიური სახუქის ქარხანაში, შემდეგ ოდენკურში-პეჟოს საავტომობილო ქარხა- ნაში, და-ბოლოს სიტროენის საავტომობილო ქარხანაში - პარიზში.

მირიან მელუა, ამავე დროს, აქტიურ მონაწილეობას ღებულობდა ქართული ემიგრაციის პოლიტიკურ ცხოვრებაში და ბევრი წერილი და სტატია გამოაქვეყნა ქართუ ჟურნალ-გაზეთებში.

ახლა კი გავეცნოთ, პატივცემულო მსმენელებო, მირიან მელუას ინტერვიუს, რომელიც მან მისცა რადიო"თავისუფლების" ქართული რედაქციის წევრს - დავით თაბორიძეს - მისი ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესახებ, 1924 წლის აგვისტოს აჯანყების 60-ე წლისთავთან დაკავშირებით. მიკროფონთან არიან მირიან მელუა და დავით თაბორიძე:

(ფ ი რ ი.............)

ინტერვიუ:

[illegible]

(XI.)

ქართული რედაქცია - რადიო"თავისუფლება"
ავტორი,დიქტორი: დავით თაზორიძე
======================================

ც ი კ ლ ი: **აჯანყებიდან მშვიდობიან დემონსტრანციამდე**
==========

**1924 წლის 28-29 აგვისტოს აჯანყების 60 წლისთავი**

წამყვანი: (სიგნალი....)
========= 1924 წლის 28-29 აგვისტოს სახალხო აჯანყების 60-ე წლისთავ-
თან დაკავშირებით, გადმოგცემთ მორიგ გადაცემას ციკლიდან "აჯანყებიდან
მშვიდობიან დემონსტრაციამდე". გესაუბრებათ დავით თაზორიძე:
("თავისუფლების ჰიმნი"...)

დიქტორი:
========

ქართველი ხალხი, თავისი სახელმწიფოებრივი ისტორიის მანძილზე, ყოველთვის ცდილობდა ეროვნული თავისუფლებისათვის ბრძოლის ტაქ-ტიკის არსებულ პირობებთან შეგუებას, რაც განპირობებული იყო იმით, რომ თავიდან ყოფილიყო აცილებული ჩვენი ხალხის უაზრო სისხლის ღვრა. ამით უნდა აიხსნას ის ფაქტიც, რომ 1924 წლის 28-29 აგვისტოს აჯანყების შემდეგ, ქართველი ერი მშვიდობიანი დემონსტრაციების გზას დაადგა, თუმცა 1956 წელს, 9 მარტს, თბილისის სტუდენტებისა და ახალგაზრდა მუშების მშვი-დობიანი დემონსტრაცია მაინც სისხლისღვრით იქნა ჩახშობილი. მაგრამ დემონსტრანტებმა, ამ ტრაგიკულ მომენტშიც, ძალადობას არ მიმართეს. 1958 წლის 14 აპრილს კი, თბილისში, მასობრივი დემონსტრაცია, რ ო მ ე ლ ი ც ქართული ენის სახელმწიფოებრივი სტატუსის დაცვას მოითხოვდა,-მშვიდობიანად და წარმატებით დამ-თავრდა, რის შედეგად საბჭოთა საქართველოს კონსტიტუციაში ისევ შეტანილ იქნა მუხლი ქართული ენის საქართველოს სახელმწიფო ენად აღიარების შესახებ.

მაგრამ, როგორც ჩანს, ყოველთვის შეუძლებელი ხდება ერმა თავი აარიდოს ძალის გამოყენებას, და ამგვარი ტრაგიკული თა-რიღია 1924 წლის 28-29 აგვისტო, როცა ქართველი ხალხი ბოლშევიკური რეჟიმის წინააღმდეგ ამხედრდა. გავეცნოთ ზოგიერთ მასალას საქართველოს, ქართველი ერის ამ საზეიმო აჯანყებისა და მისი შედეგების შესახებ.

(სკრიპტი,ინტერვიუ,საუბარი....)

წამყვანი: ეს იყო ჩვენი მორიგი გადაცემა ციკლიდან -"აჯანყებიდან
========= მშვიდობიან დემონსტრაციამდე" - 1924 წლის 28-29 აგვის-
ტოს აჯანყების 60-ე წლისთავთან დაკავშირებით. გესაუბრებოდათ
დავით თაზორიძე.
("თავისუფლების ჰიმნი"...)

ლაპარაკობს რადიო თავისუფლება!..
(სიგნალი....)

==============================

ეროვნული ბიბლიოთეკა

ინტერვიუ: პავლე ვაშაძე:



ინტერვიუ: პავლე ვაშაძე 1924 აგვისტოს აჯანყების შესახებ:

წამყვანი: ახლა გაგაცნობთ, პატივცემულო მსმენელებო, ინტერვიუს, რომელიც მიიღო ჩვენი რედაქციის წევრმა - დავით თაბორიძემ - პავლე ვაშაძისაგან 1924 წლის 28-29 აგვისტოს აჯანყების შესახებ.

პავლე ვაშაძე, 1924 წლის აგვისტოს აჯანყების აქტიური მონაწილე, დაიბადა 1904 წლის 12 დეკემბერს ჭიათურაში, სადაც ის სწავლობდა. 1924 წელს დაამთავრა ჭიათურის გიმნაზია; და, როგორც ცნობილია, იმავე 1924 წლის აგვისტოში, მოხდა აჯანყება, რომელშიც მან აქტიური მონაწილეობა მიიღო. 1924 წლის აგვისტოს აჯანყების დამარცხების შემდეგ, პავლე ვაშაძე იმალებოდა საჩხერის რაიონში, და თავი რომ დაეღწია დაპატიმრება-გადასახლებისათვის, იმავე 1924 წლის დეკემბერში დატოვა მშობლიური საქართველო და თავი შეაფარა ჯერ თურქეთს და შემდეგ საფრანგეთს. საბჭოთა საქართველოს საზღვრების დატოვების შემდეგ, პავლე ვაშაძემ თავი შეაფარა სოფელ მარადიდს; იქიდან წავიდა ართვინში, სადაც მას ქაღალდები მისცეს თურქებმა, რის შემდეგ ის ართვინიდან წავიდა ხოფაში, ხოლო ხოფიდან გემით გაემგზავრა ჯერ სტამბოლის-კონსტანტინეპოლისაკენ, შემდეგ კი საფრანგეთის ნავსადგურ მარსელისაკენ. მარსელში მას, სხვა ქართველებთან ერთად, დახვდენ საქართველოს საელჩოს წარმომადგენლები საფრანგეთში, რის შემდეგ ჩავიდა პარიზში.

პავლე ვაშაძე შემდეგ მუშაობდა საფრანგეთის ცნობილ საავტომობილო ქარხანა პეჟოში, რომელიც განლაგებულია საფრანგეთის სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილში - ოდენკურში; იქიდან სასწავლებლად წავიდა ქალაქ გრენობლში და სწავლობდა პოლიტექნიკუმში, მაგრამ - ვინაიდან საქართველოდან სწავლის ფულის გამოგზავნა შესწყვიტეს - ის იძულებული გახდა სწავლისათვის თავი დაენებებია, და ქალაქ გრენობლში დაიწყო ალუმინიუმის ქარხანაში მუშაობა. ამ ქარხანამ ის გაგზავნა თავის საკუთარ სპეციალურ სასწავლებელში, რომელიც დაამთავრა

და უკვე დაიწყო მუშაობა როგორც წარმოების ზედამხედველმა. შემდეგ პავლე ვაშაძე ჩავიდა პარიზში, სადაც ის მუშაობდა რენოს საავტომობილო ქარხანაში. პენსიაზე გავლის შემდეგ კი–პავლე ვაშაძე

ცხოვრობს ი. პარიზის ახლო-მდებარე დაბა ლევილის ქართულ მამულში, და აქტიურ მონაწილეობას ღებულობს ქართულ საზოგადოებრივ ცხოვრებაში საფრანგეთში.

ახლა კი გავეცნოთ პავლე ვაშაძის ინტერვიუს 1924 წლის აგვისტოს აჯანყების შესახებ. მიკროფონთან არიან პავლე ვაშაძე და ქართული რედაქციის წევრი დავით თაზორიძე:

(ფ ი რ ი.......)

დავით: ლაპარაკობს დავით თაზორიძე ლევილიდან!..
======
დღეს არის, პატივცემულო მსმენელებო, 1984 წლის

შენიშვნა:
⊕ საქ. [illegible] [illegible] "[illegible]!.."

ეროვნული ბიბლიოთეკა

XII

ინტერვიუ:
ჟორა შენგელია

ქართული რედაქცია - რადიო"თავისუფლება"
ავტორი,დიქტორი: დავით თაბორიძე
====================================

ც ი კ ლ ი: აჯანყებიდან მშვიდობიან დემონსტრაციამდე
==========

1924 წლის 28-29 აგვისტოს აჯანყების 60 წლისთავი

წამყვანი: (სიგნალი....)
========= 1924 წლის 28-29 აგვისტოს სახალხო აჯანყების 60-ე წლისთავთან დაკავშირებით, გადმოგცემთ მორიგ გადაცემას ციკლიდან "აჯანყებიდან მშვიდობიან დემონსტრაციამდე". გესაუბრებათ დავით თაბორიძე:
("თავისუფლების ჰიმნი"...)

დიქტორი:
========

ქართველი ხალხი, თავისი სახელმწიფოებრივი ისტორიის მანძილზე, ყოველთვის ცდილობდა ეროვნული თავისუფლებისათვის ბრძოლის ტაქტიკის არსებულ პირობებთან შეგუებას, რაც განპირობებული იყო იმით, რომ თავიდან ყოფილიყო აცილებული ჩვენი ხალხის უაზრო სისხლის ღვრა. ამით უნდა აიხსნას ის ფაქტიც, რომ 1924 წლის 28-29 აგვისტოს აჯანყების შემდეგ, ქართველი ერი მშვიდობიანი დემონსტრაციების გზას დაადგა, თუმცა 1956 წელს, 9 მარტს, თბილისის სტუდენტებისა და ახალგაზრდა მუშების მშვიდობიანი დემონსტრაცია მაინც სისხლისღვრით იქნა ჩახშობილი. მაგრამ დემონსტრანტებმა, ამ ტრაგიკულ მომენტშიც, ძალადობას არ მიმართეს. 1958 წლის 14 აპრილს კი, თბილისში, მასობრივი დემონსტრაცია, რ ო მ ე ლ ი ც ქართული ენის სახელმწიფოებრივი სტატუსის დაცვას მოითხოვდა,-მშვიდობიანად და წარმატებით დამთავრდა, რის შედეგად საბჭოთა საქართველოს კონსტიტუციაში ისევ შეტანილ იქნა მუხლი ქართული ენის საქართველოს სახელმწიფო ენად აღიარების შესახებ.

მაგრამ, როგორც ჩანს, ყოველთვის შეუძლებელი ხდება ერმა თავი აარიდოს ძალის გამოყენებას, და ამგვარი ტრაგიკული თარიღია 1924 წლის 28-29 აგვისტო, როცა ქართველი ხალხი ბოლშევიკური რეჟიმის წინააღმდეგ ამხედრდა. გავეცნოთ ზოგიერთ მასალას საქართველოს, ქართველი ერის ამ სახელისწერო აჯანყებისა და მისი შედეგების შესახებ.

(სკრიპტი,ინტერვიუ,საუბარი....)

წამყვანი: ეს იყო ჩვენი მორიგი გადაცემა ციკლიდან -"აჯანყებიდან მშვიდობიან დემონსტრაციამდე" - 1924 წლის 28-29 აგვისტოს აჯანყების 60-ე წლისთავთან დაკავშირებით. გესაუბრებოდათ დავით თაბორიძე.
=========

("თავისუფლების ჰიმნი"...)

ლაპარაკობს რადიო თავისუფლება!..
(სიგნალი....)

==============================

ინტერვიუ: შოთა ბერეჟიანი 1924 წლის აგვისტოს აჯანყების შესახებ:
==============================================================

წამყვანი: ახლა გაგაცნობთ, პატივცემულო მსმენელებო, ინტერვიუს, ~~რომელიც~~ ჩვენი რედაქციის წევრმა დავით თაბორიძემ მიიღო შოთა ბერეჟიანისაგან 1924 წლის 28-29 აგვისტოს აჯანყების 60-ი წლისთავის შესრულებასთან დაკავშირებით. მაგრამ ჯერ ზოგიერთი ბიოგრაფიული ცნობები შოთა ბერეჟიანის ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესახებ:

შოთა ბერეჟიანი, 1924 წლის აგვისტოს აჯანყების მონაწილე, დაიბადა 1909 წლის 22 თებერვალს, თბილისში. როცა 1921 წელს დამოუკიდებელ საქართველოს თავს დაესხა საბჭოთა რუსეთის წითელი არმია, შოთა ბერეჟიანი იძულებული გახდა თბილისი დაეტოვებია და წავიდა თავის მშობლიურ სოფელ ზენობანში, ჩოხატაურის რაიონი, და თბილისის რეალური სასწავლებლის დატოვების შემდეგ, სწავლობდა ხიდისთავში. შემდეგ, შოთა ბერეჟიანი ისევ დაბრუნდა თბილისში და სწავლობდა აგრონომიულ ტექნიკუმში, საიდანაც შემდეგ გადავიდა ინდუსტრიულ ტექნიკუმში, რომელიც დაამთავრდა 1927 წელს, და იმავე წელს შევიდა თბილისის უნივერსიტეტში ბუნებისმეტყველების ფაკულტეტზე. მაგრამ 1928 წელს შოთა ბერეჟიანი, როგორც არასაიმედო პირი, გარიცხეს უნივერსიტეტიდან; და ვინაიდან მას დაპატიმრება მოელოდა, 1929 წლის მაისში დატოვა საქართველო, და ჯერ თავი შეაფარა თურქეთს, ხოლო შემდეგ გადასახლდა საფრანგეთში, სადაც ის მუშაობდა, სხვა მრავალ ქართველთან ერთად, საფრანგეთის ცნობილ პეჟოს საავტომობილო ქარხანაში.

1939 წელს შოთა ბერეჟიანი გაიწვიეს ფრანგულ ჯარში, რომელშიც შეიქმნა სპეციალური ნაწილი "უნიტე ჟეორჟიენ"="ქართული შენაერთი", რომლის კომანდირი იყო კაპიტანი გიორგი ოდიშელიძე. საფრანგეთის დამარცხების შემდეგ, შოთა ბერეჟიანი მუშაობდა ქალაქ ლიონში, შემდეგ პარიზში, და, პენსიაზე გასვლის შემდეგ, ცხოვრობს პარიზის ახლოს-მდებარე დაბა ლევილში, თავის საკუთარ სახლში.

ახლა კი გავეცნოთ შოთა ბერეჟიანის ინტერვიუს მისი მონაწილეობის შესახებ 1924 წლის აგვისტოს აჯანყებაში. ეს ინტერვიუ მიიღო ჩვენი

რედაქციის წევრმა დავით თაზორიძემ ლევილში, 1984 წლის მარტში.

აი ამ ინტერვიუს შინაარსი. მიკროფონთან არიან დავით თაზორიძე და მოთა ზერეყიანი:

<u>(ტ ი რ ი.........)</u>

<u>დავით:</u> ლაპარაკობს დავით თაზორიძე ლევილიდან!...

დღეს არის, პატივცემულო მსმენელებო, 1984 წლის

⊕ დამატება: [illegible] "[illegible]!.."

ეროვნული ბიბლიოთეკა

[illegible]

ქართული რედაქცია - რადიო"თავისუფლება"
ავტორი,დიქტორი: დავით თაბორიძე

## ც ი კ ლ ი: აჯანყებიდან მშვიდობიან დემონსტრანიამდე

## 1924 წლის 28-29 აგვისტოს აჯანყების 60 წლისთავი

**წამყვანი:** (ხიგნალი....)
1924 წლის 28-29 აგვისტოს სახალხო აჯანყების 60-ე წლისთავთან დაკავშირებით, გადმოგცემთ მორიგ გადაცემას ციკლიდან "აჯანყებიდან მშვიდობიან დემონსტრაციამდე". გესაუბრებათ დავით თაბორიძე:
("თავისუფლების ჰიმნი"...)

**დიქტორი:**

ქართველი ხალხი, თავისი ხახელმწიფოებრივი ისტორიის მანძილზე, ყოველთვის ცდილობდა ეროვნული თავისუფლებისათვის ბრძოლის ტაქტიკის არსებულ პირობებთან შეგუებას, რაც განპირობებული იყო იმით, რომ თავიდან ყოფილიყო აცილებული ჩვენი ხალხის უაზრო სისხლის ღვრა. ამით უნდა აიხსნას ის ფაქტიც, რომ 1924 წლის 28-29 აგვისტოს აჯანყების შემდეგ, ქართველი ერი მშვიდობიანი დემონსტრაციების გზას დაადგა, თუმცა 1956 წელს, 9 მარტს, თბილისის სტუდენტებისა და ახალგაზრდა მუშების მშვიდობიანი დემონსტრაცია მაინც სისხლისღვრით იქნა ჩახშობილი. მაგრამ დემონსტრანტებმა, ამ ტრაგიკულ მომენტშიც, ძალადობას არ მიმართეს. 1958 წლის 14 აპრილს კი, თბილისში, მასობრივი დემონსტრაცია, რ ო მ ე ლ ი ც ქართული ენის სახელმწიფოებრივი სტატუსის დაცვას მოითხოვდა,-მშვიდობიანად და წარმატებით დამთავრდა, რის შედეგად საბჭოთა საქართველოს კონსტიტუციაში ისევ შეტანილ იქნა მუხლი ქართული ენის საქართველოს სახელმწიფო ენად აღიარების შესახებ.

მაგრამ, როგორც ჩანს, ყოველთვის შეუძლებელი ხდება ერმა თავი აარიდოს ძალის გამოყენებას, და ამგვარი ტრაგიკული თარიღია 1924 წლის 28-29 აგვისტო, როცა ქართველი ხალხი ბოლშევიკური რეჟიმის წინააღმდეგ ამხედრდა. გავეცნოთ ზოგიერთ მასალას საქართველოს, ქართველი ერის ამ საბედისწერო აჯანყებისა და მისი შედეგების შესახებ.

(სკრიპტი,ინტერვიუ,საუბარი....)

**წამყვანი:** ეს იყო ჩვენი მორიგი გადაცემა ციკლიდან -"აჯანყებიდან მშვიდობიან დემონსტრაციამდე" - 1924 წლის 28-29 აგვისტოს აჯანყების 60-ე წლისთავთან დაკავშირებით. გესაუბრებოდათ დავით თაბორიძე.
("თავისუფლების ჰიმნი"...)

ლაპარაკობს რადიო თავისუფლება!..
(ხიგნალი....)

ეროვნული ბიბლიოთეკა

20.8.84 წ.

ქართული რედაქცია - რადიო"თავისუფლება"

ავტორი,დიქტორი: დავით თაზორიძე

29:40

ციკლი: ქართული პრესა უცხოეთში:

ჟურნალი "ჩვენი დროშის" ახალი ნომერი(პარიზი,აგვისტო,1984 წ.).

1. 1924 წლის [illegible]!..

2. [illegible]!

[illegible]

წამყვანი: მორიგი გადაცემა ციკლიდან - ქართული პრესა უცხოეთში. მიკროფონთან არის დავით თაზორიძე:

/

დიქტორი: უცხოეთში მცხოვრები ქართველობა, პატივცემულო მსმენელებო, მრავალ ჟურნალს, გაზეთს თუ წიგნს ბეჭდავს უცხოეთში, რომლებშიც გაშუქებულია არა მარტო უცხოეთში მცხოვრები ქართველების ცხოვრება-მოღვაწეობა, არამედ - მას ზევით - ჩვენი სამშობლოს საქართველოს პოლიტიკურ-ეკონომიკურ-კულტურულ-სოციალური მდგომარეობაც.

და ხელთ მაქავს ჟურნალ"ჩვენი დროშის" 1984 წლის ავგისტოს ნომერი, რომელშიც მრავალი საინტერესო წერილი,ცნობა თუ სტატიაა გამოქვეყნებული.

ახლა მსურს გაგაცნოთ,მაგალითად,......... ..................

"ჩვენი დროშის" ამ ნომერში გამოქვეყნებული ვრცელი სტატია 26 მაისის, ჩვენი ეროვნული დღესასწაულის, საქართველოს დამოუკიდებლობისა და სუვერენობის ისევ-აღდგენის შესახებ, რომელსაც, როგორც ცნობილია, ადგილი ჰქონდა 1918 წლის 26-ს მაისს.

გ. 2.

1918 წელს 26 მაისს დაიმყნო მელი ერის მიერ საქართველოს თავისუფლება, მისი
ხელმწიფეობა, რომელმაც მოგვცა, საქართველო ერთი მთლიანი, გაერთიანებული
რომელსაც აღარ ქონია ალგილი დიდი თამარის შემდეგ ქართველი ერის ყოფა-ცხოვრე-
ბაში ( გ. გვაზავა) ~~შენ მას ვერ იცნობ ის მანდ ლეენილია), მაგრამ შენ ალბად კარგათ იცნობ~~ ან განსვენებულ ცნობილ პროფესორ შალვა ნუცუბიძეს, აბა
ყური დაუგდოთ , და გავიხსენოთ თუ რა განაცხადა ამ გამოჩენილმა პროფესორმა
1920 წლის დამფუძნებელ კრების სხდომაზე: " თავისუფალ საქართველომ სულ მოკლე
ხანში გასაოცარ ზეაღსვლით მონივთა ქართველი ერის ცხოვრება, აღმართა შინაგანი
საუნჯე , ქართული უნივერსიტეტი, კულტურის ჩაუქრობელი კერა, დაიწერა ოპერები,
ითარგმნა უცხო ერთა კლასიკოსები, გამოიცა ქართულ მეცნიერულ, ყურნალ გაზეთები
თავისუფლება პრესის, სიტყვის, პარტიების, კრებების არ ნახული ჩვენს ისტორი-
აში. სახელმწიფო ღერბად ავირჩიეთ საქართველოს რაინდი მფარველი თეთრი გიორგი
სამ ფეროვანი დროშით , რომლითაც ჩვენ შევედით თავისუფალ ერთა ოჯახში როგორც
სრულ უფლებიანი სახელმწიფო. შესრულდა ოცნება კურთხევა, და ანდერძი დიდი
ილიასი."

საბჭოთა რუსეთმაც იცნო საქართველოს სუვერენობა, ხელი მოაწერა მასთან მეგო-
ბრულ სახელმწიფოებრივ-ეკონომიურ ხელშეკრულებებს, რომელსაც პირნათლად იცავდა
და ასრულებდა საქართველო. მოსკოვმა კვლავ გასტეხა სიტყვა მიცემული, თავს
დაგვესხა ომის გამოუცხადებლად, უფრო უხეშად, უფრო ველურად , და ხუთი კვი-
რის გასხარებულ უთანასწორო სისხლიან ბრძოლების შემდეგ დაგვიპყრო1921წ. თე-
ბერვალში, მოგვისპო სახელმწიფო,მოგვისპო თავისუფლება. თებერვალმა მონუსხვა
ჩვენი მეობა, ნაყოფი კვირტში გაგვიხმო , რანი ვიყავით ყველაფერი, რა ვართ
აღარაფერი.

ნ. ნიკოლაძე ხომ გაგიგონია? მასზე ეხლა ბევრს წერენ , მისი სხლი მის სახე-
ლობის მუზეუმათ გადააკეთეს, ღამის ბოლშევიკათ გამოიყვანონ, მან ეროვნულ
მთავრობის დავალებით ფინანსთა მინისტრ კონსტანტინე კანდელაკის მეთაურობით
მრავალჯერ იმგზავრა ევროპაში დამ. საქართველოს პოლიტიკურ- ეკონომიურ ინტე-
რესების დასაცავად, როდესაც რუსეთი შემოგვესია, და დაგვიპყრო მან სასტიკი
პროტესტი განაცხადა და დასწერა: "რუსეთს არავითარი უფლება არ აქვს იბატო-
ნოს იმ ქვეყანაზე, რომელსაც სურს თვითონვე იყოს თავის ბატონ პატრონი, და
თვითონვე გაუძღვეს საკუთარ საქმეებს"ო.

გაგიგონია შენ ქართველი კაცი ემიგრანტი? ქართველი კაცი ხომ არაა
რომ ასე ადვილად აიკიდოს ხვირჯინი, მიატოვოს
დედულ მამული , სამშობლო, და წავიდეს, სამუდამოდ. ის კი არა მახსოვს, გლე-
ხი , რომ მოათავებდა სასოფლო მეურნეობას ცოტა ხნით ზამთრობით ფულის სამოვ-
რად სამუშაოდ მიდიოდა მახლობელ ქალაქში, შეიქნებოდა ერთიტირილი, ოხვრა, და
მოთქმა, რას ფიქრობ შენ? ნუთუ ასეთი უგულონი გგონივართ , რომ მივატოვეთ
ნებით . ჩვენი საყვარელი სამშობლო, ჩვენი სანუკვარი დედ- მამა , დები,
ძმები ან მეგობრები? შენ უნდა იცოდე, რომ ჩვენ იძულებით მიგვატოვებინეს ის,
რასაც ჩვენ ვეტრფოდით , ვაღმერთებდით, სინანულით, ბოლმით სევდით და ცრე-
მლით დავშორდით ჩვენ მას.

დადგა1924 წელი.ვეღარ აიტანა ერმა დამპყრობელთა მძიმე უღელი, საბ. რუსეთმა
არ გვაკმარა დაპყრობა, ღილიდან მათი შემოსვლისა ფართოდ იწყეს ჩვენი ტერიტო-
რიების ჩამოჭრა, და დარიგება, 21000 კვადრატული კილომეტრის სივრცე მოსტაცეს ჩვენ პა-
ტარა სამშობლოს, სახელდობრ: ართვინის ოლქი, ფოცხვის თემი, არტაანის ოლქი,

ოლთისის ოლქი, ბორჩალოს ნაწილი,ზაქათალის ოლქი, სოჭი და მისი რაიონი კი "უღრობმა ძმამ" აირჩია მის ტერიტორიათ გამოაცხადა, თითქოს რუსეთს ტერიტორია აკლდეს, [აქაო კარგი თბილი ჰავაა,და ძალიან მომწონსო ჩვენ ხომ ძმები ვართო. რას მიქვიან ქართველობა , ეროვნება თქვენც რუსები ჩვენც რუსები, ერთი სი-ტყვით მოსკოვის სურვილია აზილოს რუსულ ცომში ყველა მის მიერ დაპყრობილი ერები , და გამოაცხოს საბჭოთა რუსული ყაიდის ახალი ადამიანი, სადაც იბა-ტონებს ენა რუსული , ზნე, ჩვეულება ,და ადათიც მათი.]

აივსო ქართველი ერის მოთმინების ფიალა , და იგი აღსდგა , იარაღით ხელშიდ სამ ფეროვანი დროშით, მაშინ ვიყავ 17 წლის , მაგონდება 1924 წლის 28 აგვი-სტოს საოცნებო დღე. იმღამეს ჭიათურაშიდ დიდი რეში მოვიდა ( ძლიერი წვიმა) გარეცხა, განბანა, გააქათქათა უზენაესმა ჩემი ჭიათურა, მუდამ მასზე შეყვა-რებული , მისი ნახვის მონატრული,და მასზე მტირალი.ნაშუაღამეს მოიწმინდა გამოჩნდა ჭიათურის განუმეორებელი სილამაზის თვალ უწვდენელი ლურჯი , ლურჯი ცა, რომელზედაც აკიაფდენ ვით ჭაღები მოციმციმე ურიცხვი, უთვალავი ვარსკვლა-ვები. [ამობრძანდა მოკაშკაშ მოელვარე, ღამის მეფე ჭიათურისებური განსაკუთრე-ბული ბრწყინვალე მთვარე , მსლებელ ვარსკვლავთა ლაშქრით დამშვენებული , სა-შევარდნო კლდეზედ დაბრძანდა , თითქოს მასაც სურდა მოწმე ყოფილიყო ამ დიადი ისტორიული დღის , და თავისუფლებისათვის მებრძოლთა გამარჯვების ტკბობა გაე-ზიარებინა.]

სძინავს ქალაქს, ღამის სიჩუმეს მხოლოდ აზვირთებული ჩემი შავი ყვირილა არღვ-ვს , რომელიც ღელვით , ხმაურით, ემშვიდობება მის საყვარლის ჭიათურის მიერ გაშლილ ლოგინს , რომელზედაც ის მოსჩანს ვით შავბრილიანტის ზოლად მთვარის შუქით გაბრწყინებული.

გარიყრაყზე გაისმა ხმა , ხმა დათქმული, სანატრელი: ვისაც მკერდში უძგერს გული ქართული , აღსდექით საქართველო თავისუფლება"ო. აბა რომელი ქართველის გულს არ აატოკებდა ეს ჯადოსნური სიტყვები?და მეც ჩემს განუყრელ სიყრმის სამ მეგობართან ავიღეთ იარაღი, და მივედით დანიშნულ ადგილზე, დაუვიწყარ ლომ- კაც პოლკოვნიკ სიმონ წერეთელთან, რომელიც იყო მეთაური ამ დაუვიწყარი გმირული ბრძოლების, და რომელმაც ბრწყინვალედ შეასრულა თავის მოვალეობა.

განთავისუფლდა ჭიათურა. ჩემს მეხსიერებაში წაუშლელი დარჩება მცხოვრებთა ენით აუწერელი სიხარული, აღფრთოვანება, ზეიმი, აღტაცებული მილოცვები, ხვევნა კოცნა, ცრემლები აღფრთოვანების, თვით ბოლშევიკები, აშკარად, რომ ხევდენ პარტიულ ბილეთებს, და ჩვენ გვიერთდებოდენ, არქონია ადგილი, არც შურის ძიებას, არც შეურაცყოფას. რა ძალა, რა სიწმინდის გრძნობები , და სხივოსნობა ჰქონია თავისუფლებას.

მეორე დღეს მოვიდა რუსის ჯარი, კურსანტების სახელით ცნობილი, და ეს დიდი საქმე სისხლშიდ ჩაახრჩვეს. დაიწყო გაუგონარი რეპრესიები, დევნა, დაჭერები მეც დამატყვევეს. ჩეკის სარდაფში აღარ იყო ტუსაღთა ტევა, აუტანელ დახშულ სიცხიან ჰაერში სუნთქვა გვიჭირდა. ღამით გამომიძახეს, ამიყვანეს პირველ სართულზედ, ბიუროში ხუთი კაცი იჯდა, რევოლვერები მაგიდაზე. მემათ ყველას

ვიცნობდი, ხშირად ვხედავდი ხადგურზე , ყველას რომ უთვალყურეობდენ, და
ყველას , რომ ხმულდათ. შესვლისთანავე, ჩეკისტ თათეიშვილმა საშინლად მცემა,
არ მიგვრძნია არც ტკივილი, არც შიში იმ წუთებში, კარგად, რომ
დამასისხლიანა, დამასივა, ყველამ სიცილი დაიწყო. ჩეკის თავჯდომარემ ლომაძემ
გამომიცხადა, დილით სხვა ტუსაღებთან ერთად თბილისში გაგზავნითო, თბილისაც
ნახავ, და იქ უკეთეს პატივს გცემენო. ჩამომიყვანეს უფრო სწორად, ჩამომიტანე
დამაგდეს იატაკზე, ვიგრძენი აუტანელი ტკივილები, და საშინელი შიში. არ დამა
ვიწყდება, როგორი სიყვარულით , სათნოებით მომიარეს ტუსაღებმა, განსაკუთრებით
პოლკოვნიკ ეკო წერეთელმა, შემოისხია პერანგი, გუშაგს წყალი მოსთხოვა, რომე-
ლმაც მაშინვე მოარბენინა, დამხედა თუ არა ეკომ მიაძახა, სირცხვილი თქვენი,
სირცხვილი თქვენს ქართველობას, ახე როგორ გაიმეტეთ ეს ბავშვი, რა გიქნიათ
რა მხეცურად გიცემიათო, ჟარაჯმა უსიტყვოდ დაგვტოვა. ეკომ ძალიან ნაზად მო-
მბანა ჭრილობები, გამამხნევა , მის გვერდით მომახვენა , აბა მაშინ რა ვიცო-
დი, რომ ამ დიდებულ ვაჟკაც მამულის უზადლო შვილს უკანასკნელად ვხედავდი.
დასვრიტეს ზესტაფონში ვაგონებშიდ, 164 ტუსაღთან ერთად, მეც მათთან უნდა
ვყოფილიყავი. რიყრაზე კვლავ გამომიძახეს, ისე ვიყავი გარინდებულ
აღარც კი მახსოვს როგორ ავდექი, ეკომ კი მითხრა ალბად სააავდმყოფოშიდ გა-
გაგზავნიანო, არ იჯავრო, არ შეშინდე გული არ გაიტეხო, მხოლოდ ჭიათურა და-
მარცხდა, თბილისი ჩვენ ხელშია, მალე ჩვენც გაგვანთავისუფლებენო, მე კი გულ
საგულეს აღარ მქონდა. ავედი შიშით, და ძრწოლით შეპყრობილი, ვხედავ შორაპნის
მაზრის პარტკომის პირველ მდივანს ჩვენ მდგმურ იაშა კონცრიძეს(დასვრიტეს)
შევატყვე შეძრუწუნდა ასეთ დღეში, რომ მნახა, მიუბრუნდა ლომაძეს,(დასვრიტეს)
და მიახალა მოერიეთო? მხტაცა ხელი , და წამომიყვანა. ცხენზე შემისვა ,გზაში
მეუბნევა კი ხარ დასახვრეტი, მაგრამ დედა შენს რაღა პირით შევხედოო, მე უბ-
დურო თუ გგონია ,რომ თქვენ თბილისში გაგზავნიან, შენ ეხლა გათავებული კაცი
ხარ მინდოდა კაცი გამომეყვანე, რა ჩაიდინე, შენი გვარის კაცს ეხლა ვინ გა-
ზედავს , რომ დაიცვას ან დაეხმაროს? ო.
მეარ ვპასუხობდი, ხულ იმაზე ვფიქრობდი როგორ ახსნიან ჩემი მეგობრები, ჩეკაში
დარჩენილნი, და განაწამებნი. უცბათ წამოვიძახე, გთხოვ დამაბრუნე უკან,
ამ სიტყვების გაგონებაზე გაბრაზებულმა ერთი მათრახი ცხენს გადაჰკრა , და
ერთი მეც მიჭირა, ახე მისთი პატივის ცემასო? მართლა დასახვრეტი ხარ, შენი
გულიზა იცი მე რამოდენა რისკს ვაკეთებ? შენ უმადურო შენ უმადუროო.
ამახობაში სახლშიდ მივედით. სახლშიდ არავინ იყო, კიდევ იღბალი სააგარაკოთ
იყო მთელი ოჯახი წაღვერში, თორემ ძაძას დამისვრიტავდენ, რომელიც
მრავალჯერ იყო დატუსაღებული.
[ი. კონცრიძე იყო ნამდვილი ფანატიკოსი, დედა ჩემი შვილივით უვლიდა მის ახალ-
შერთულ ნაზ მეუღლეს , უაღრესად გულ შემატკივარ ,ჩემი სკოლის მეგობარ შუხა-
ნიშნავ ადამიანს. ეს კაცი სულ კრებებზე იყო არ ფიქრობდა ოჯახის საჭიროებაზე
ამიტომ მისი მეუღლე სულ ჩვენთან იყო, და ითვლებოდა ჩვენ ოჯახის წევრად.
იაშამ ეს იცოდა, ამიტომაც დიდი პატივის ცემა ჰქონდა დედა ჩემის.]

მერე გავიგე თურმე მან უთხრა მეუღლეს" იაშა აღარ დამენახო თუ ბუხუტას არ გაანთავისუფლებ, და არ დაახვედრებ დედამისს"ო.

მეორე დილით მართლადაც 164 ტუსაღი, ვითომ თბილისს გაგზავნეს, ისინი ყველანი ესტაფონში პიტონიკებში, გამომწყვდეულნი ტყვიამფრქვევებით მოწყალოდ ამოსწყვიტეს, მერე ვინ? ძმამ მის ღვიძლ ძმას ესროლა, მეზობელმა, მეზობელს, რათა გაეღვივნებიათ შური, მტრობა, და სიძულვილი ქართველთა შორის. მე გადურჩი ამ საშინელ ხოცვა ჟლეტას.

მათი საშინლად დაფლეთილი გვამები იქვე საჩქაროდ ყვარილის პირზე გათხრილ ორმოებში ჩაჰყარეს, ჯალათებმა ეს ამბავი დამალეს, შეიძლება თვითონაც შერცხვათ მათი ველურობის, ერთ დღეს მთაში დიდი წვიმა მოსულიყო, აღიდა, აზვირთდა რიალით გადარეცხა მათი საფლავები, ამოყარა განაწამები მათი გვამები, და ოჰ საშინელებავ, გადაგვიშალა საზარელი სანახაობა. (ბოლშევიკები ჭირის-უფლებს ეუბნოდენ, ისინი ჩვენ ყველანი უცხოეთშიდ გავაპარეთ, მალე წერილებს მიიღებთო).

ეს ამბავი მესივით გავარდა, და ელვის სისწრაფით მოეფინა მთელ მხარეს, მთელმა ჭიათურამ, ზესტაფონს მიაშურა. უნდა გენახა მათი დედები, მეუღლეები მამები, ნათესავები, სილაზე გუნდათ, და გუნდათ საშინლად დასახიჩრებულ დაფლეთილ გვამებში თავისიანებს, რომ ეძებდენ, ლაწვ დაკაწრულნი, ცრემლ შემშრალნი, გაფითრებულნი, ჭმუნვით აღსავსენი, მაგრამ ერთდა იმავე დროს რაღაც სიამაყით აღსავსენი, როგორი გასაოცრებელ გამბედაობით უცქერდენ მათ შვილთა ჯალათებს. იმავე საღამოს ყველანი უხეშად, ცლანქალ გააძევეს, და არვინ იცის რა უყვეს გვამებს.

მთელ საქართველოში გამეფდა საშინელი ველური გაუგონარი ტერორი, არ ნახული წამება, სვრეტა გადასახლება. სტიროდა მთელი საქართველო, მათ მოწამებრივ მკვლელობამ, მთელი ერის გულს სამუდამო გაუხდელი შავები ჩააცვა, და ძაძებით შემოსა.

ერთ დღეს მიხმო იაშამ და მითხრა:"ხომ ხედავ, რასდება, მეც არ ვიცი რა მომივა. შენი მფარველობა მეტი მე აღარ შემიძლიან აქაურობას უნდა გაშორდეო" სამმა მეგობარმა გადავწყვიტეთ უცხოეთშიდ გასიზვნა მშობლებმაც კი არაფერი იცოდნენ. 1925 წელს ივლისშიდ, ღამით გამოვეთხოვე, გავოვემშვიდობე, ჩემს საყვარელ ჭიათურას. გამომშვიდობება ეს ხომ ის ჯადოსნური სიტყვაა, რომელიც გამოუთქმელ სილამაზეს აძლევს ყველაფერს, რასაც ჩვენ ვტოვებთ, ჩემი ჭიათურა არასოდეს არ მომჩვენებია ისე ლამაზი, წარმტაცი და მშვენიერი იმიტომ, რომ მე მას უკანასკნელად ვხედავდი, სამუდამოდ ვტოვებდი. დავემშვიდობე უტყვსა თუ მეტყველს, სულ დგმულ-უსულოს, ჩემი სიყრმის აკვანს, ჩემს გამზრდელს, თვალ ცრემლიანი გულის ტკივილით. ~~არ გაბედო მაღსაზ ჩემო და არ დამზრდო, რომ იცოდე~~ რა რიგ ძნელია განშორება, მით უფრო როცა იცი, რომ ველარ ჩაგიკრავს მშობლიური მიწაც კი განსასვენებლად, ~~და აქ უცხოეთშიდ დაბინავდები საზარლად გათხრილ ცივ სამარეში სამუდამოდ.~~ ჩემსავით განაწამებ ქართველთა შორის, რომლებსაც არ ეღირსად მშობლიური მიწის ერთი ტკაველიც განსასვენებლად. აი თუ რატომ ან როგორ მაიძულეს გავმხდარიყავი უსახლკარო ლტოლვილი უცხოეთში ვლოცულობ მარად იყოთ დღე გრძელნი, სარობდეს ყვავოდეს ჩემი სატრფო სამშობლო დაე ეკმაროს ამდენი ცრემლი ჩვენს დედებს, ამდენი მსხვერპლი ჩემ საქართველო

შენც მოგვიხსენიე, სინანულით, სიყვარულით ლოცვა კურთხევით , რათა შეგვიმსუბუქო იარა სულის, და მწველი ფიქრების.
ეხლა მეორე კითხვა: რა უქენით არხივს? ~~არა გრცხვენია მაღსაზ?~~ ისეთი გამოთქმით მისვამ ამ შეკითხვას , გატყობ დაეჭვებული ხარ, ~~გვინის მივაყიდეთ.~~ ეს ისტორიული საქართველოს კუთვნილი უნიკალური დიდებული ხანის საბუთები ~~ერთ-და ერთა , არავის დაგაჯერებ~~ ~~ეს~~ არხივი ინახება ნიუორკის ცნობილ ჰარვარდის უნივერსიტეტში, სადაც მოთავსებულია ბევრ სხვა ერთა არხივები, იმიტომ რომ ქაღალდმა იწყო დაზიანება, გაფუჭება, საჭირო იყო მისი გადარჩენისათვის სპეციალური, მოვლა, წამლობა, ~~პლასტიფიკაცია~~, რათა ჟამთა მსვლელობამ ქაღალდს ვნება აღარ მოუტანოს. ამისათვის საჭირო იყო დიდი თანხა, და სპეციალური აპარატები, რომელიც თვით ევროპასაც არ აქვს. უნივერსიტეტმა სრულიად უსასყიდლოდ დაგვპირდა , შეგვსრულა დაპირება , და არხივი გადაგვირჩინა.
არხივის დაცვა, რომ ყოფილიყო სრულიად გარანტირებული ჩვენ მოვიწვიეთ ცნობილი ქართველი პროფესორი ბატონი გ. ნაკაშიძე, რომელმაც აღწერა, და შეადგინა კატალოგი, მან ერთ წელზე მეტი დაჰყო უნივერსიტეტში, და მისი მეთვალყურეობით ამ შესანიშნავ მამულისშვილმა დიდი მცოდნეობით, და სიყვარულით პირნათლად შეასრულა დავალება. გადაღებულ იქნა აგრეთვე ყველა საბუთების მიკრო-ფილმები, ერთიცალი ამ ფილმების, გადმოგვეგზავნა ჩვენ პარიზში და ინახება ბანკის სეიფში სამი პირის სახელზე. მისი ასლი ინახება არხივთან ერთად უნივერსიტეტში. ამერიკელებს არავითარი უფლება არა აქვთ არხივზე, მისი ბატონ პატრონია, კომისია ხუთი წევრისაგან შემდგარი, რომლის დაუკითხავად, უნებართვოთ არავის არ აქვს გაეცნოს, ან ისარგებლოს არხივით.
ეროვნული მთავრობის ანდერძით, განსაზღვრულ დროში უნდა გადაეცეს ეს არხივი თბილისის უნივერსიტეტს, როგორც ჰხედავ ~~ჩემო მაღსაზ~~ საქართველოს კუთვნილებას თვალის ჩინივით უვლით, და ვევლებით.
~~მეკითხვით~~ განძეულობაზე ~~ის~~ ხომ დაუბრუნდა საქართველოს, უკვლებლივ, ~~რისა პირველი შემთხვევაა, თქვენც ველით უცრყოფ~~ ~~მენ წაიკითხავს , როგორც სხვა~~ ვინმე ელიზბარ უბილავას წიგნაკი" განძეულის გუშაგი", ~~რომელიც მოურიდებელი ... ისტორიულ ამბავს გადმოგვცემს, და~~ გაუგონარ სისრუის ჭორებშიც აღრჩობს. ~~მის~~ წიგნაკში მოყვანილი ცნობები შეთხზულია ისეთი ჭორებით, რომ ის ~~თუ ... ... ... ... ...~~ გარჩევის ღირსიც არაა. ვიტყვით მხოლოდ ერთს, განსვენებულ პროფესორ ექვთიმეს ჭირივით სძულდა , მანანა კრაჭუშვილი (ნამდვილი მისი გვარი) და არა მჭედლიძე და მისი დამქაში ვინმე მორჩილაძე( რომელიც ამ გვარით გაგვეცნო). ბ-ნი ექვთიმე სულ გაიძახოდა, "რაქვიანა ( რატომღაც განსვენებული თითქმის ყველა მის წინადადებას ამ სიტყვით იწყებდა) მომაშორეთ ეს ბანდიტები, სადღაც დაეხეტებიან ყოველ ღამე, შავ ბირჟაზე ვაჭრობენ თავს რეზისტანთ ასაღებენ, მეშინია ან არაფერი მომპარონ, ან ნაპარევ ნაძარცვი საქონელი არ მოიტანონ, ~~და~~ პოლიცია არ მოგვადგეს. ასე"უყვარდა" ~~ეს~~ მართლადაც ჭინკა მარია, როგორც მას შეარქვეს
რაც შეეხება ბ-ნ ექვთიმეს შეხედულებას საქართველოს დამოუკიდებლობაზე, ის ბოლომდის დარჩა ერთგული დამცველი, და მსახური ჩვენი ქვეყნის დამოუკიდებლობის, რომლის წერილობითი საბუთები მრავლად მოიპოვება ამერიკაში , შესანახად გა-

გზავნილ ეროვნულ მთავრობის არხივშიდ. ის იყო უდიდესი პატივის მცემელი ნოე ჟორდანიასი, გამსჭვალული თანაზიარობის ერთგულობის გრძნობით, და უპირობოთ , უანგაროდ თანამშრომლობდა, იზიარებდა ეროვნულ მთავრობის აღებულ ხაზს , და ყოველთვის პირნათლად ასრულებდა მის დავალებებს.

პატივცემული მცხოვანი პროფესორი მხოლოდ ერხელ წავიდა წინააღმდეგი ჟორდანია გეგეჭკორის გადაწყვეტილების , წინაღუდგა არხივის გადაცემას საქართველოსათვის რადგან მას არ ქონდა არავითარი ნდობა ბოლშევიკების სიტყვის, მხოლოდ ჟორდანია გეგეჭკორის კატეგორიულ მოთხოვნილებას დაემორჩილა, და განაცხადა არ ვიზიარებ თქვენს აზრს, მაგრამ გემორჩილებით.

წახვლამდე განსვენებულმა დასწოვა ანდერძი, რომელიც მან მიაბარა ერთ ნატარიუს პარიზში ჟორდანია გეგეჭკორის დასწრებით რომელიც თავის დროზე დათქმულ ვადაში გადაეცემათბილისის უნივერსტეტს, რომელშიდაც ნათქვამია , რომ განძეულობის უცხოეთში გამოტანის იდეია მოდიოდა არა მთავრობიდან არამედ დიდ მიხეილ ჯავახიშვილიდან, რადგან ის შიშობდა, რომ შემოსულ ჯარს არ გაეატაცებინა სამუზეუმო ქონება, და არ დაერბია ეკლესიები, რადგან მან იცოდა მათი სიძულვილი, და მტრობა ეკლესიისადმი, ეს ახეა, როცა უცხო ჯარი იპყრობს ქვეყანას ,მთავრობა ან მალავს ან თან მიაქვს ისტორიული განძეულობა გადასარჩენათ. ნაპოლეონმა დაატარიელა ხალაც კი შევიდა მუზეუმები, მისმა ჯარის კაცებმა კი დიდებულ სფინქსებს ეგვიპტეში ცხვირები დაუტეხეს, და ვანდალების სახელით შევიდნენ ისტორიაში.

როგორც დამფუძნებელი კრების თავჯდომარე მოადგილე , თხოვ...

პრეზიდენტმა მაშინვე მიმიღო ჩემი თხოვნა ურეზერვოდ მიიღოო, ნათქვამია ანდერძში , მხოლოდ დამისვა ერთი პირობა , თქვენ უნდა უპატრონოთ ამ განძეულებას და სადაც ეს განძეულება იქნება თქვენც იქ უნდა ბრძანდებოდეთო. ჩემი თანხმობის შემდეგ მან გამოიძახა იოსებ ელიგულაშვილი, და უბრძანა : დღეიდგან თქვენ იმყოფებით პროფესორის განკარგულებაში , შეასრულეთ საჩქაროდ ყველა მისი განკარგულებებიო. სავალალოა ,რომ არავინ არ ვიცით სად ან ვის ხელშიდაა ეს დიდი, ფრიად საინტერესო ისტორიული დოკუმენტი. გვჯერა, რომ საქართველოს ის არ დაეკარგება, ბ-ი ექვთიმე წერელათ არაფერს გააკეთ ებდა.

ვწუხარ, მხოლოდ ერთს , რომ პატივცემული აკადემიკოსი გ. ჯიბლაძე ეყრდნობა ცრუ ე. უზილავას მოჭორილ ამბებს;იხილე მისი წერილი " კიდევ განძეულობის შესახებ"(მნათობი მეხუთე ნომერი 1983 წელი), სამაგიეროდ მეტად საინტერესოა პროფესორ გივი ჟორდანიას წერილი" დაბრუნებული საუნჯე": იხილე გაზეთი კომუნისტი 15 აპრილი 1984 წელი, მაგრამ პატივცემული პროფესორიც ვერ გადმოქცემს ყველა ფაქტებს სრული სისწორით სათანადო საბუთების უქონლობის გამო,მაგრამ სიმართლესთან ის უფრო ახლოა,

ჟურნალ "ჩვენი დროშის" ამ 1984 წლის აგვისტოს ნომერში სხვა მრავალი საინტერესო სტატია-ცნობაა გამოქვეყნებული, რომლებიც ეხება საქართველოს დღევანდელ მდგომარეობას და ქართული პოლიტიკური ემიგრაციის ცხოვრების სხვადასხვა მხარეს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჟურნალი "ჩვენი დროშა" კი, როგორც ცნობილია, საქართველოს სოციალდემოკრატიული პარტიის საზღვარგარეთელი ბიუროს ორგანოა და დაარსებულია დამოუკიდებელი საქართველოს პრეზიდენტისა და მთავრობის თავჯდომარის, საქართველოს სოციალდემოკრატიული პარტიის თეორეტიკოსისა და ლიდერის ნოე ჟორდანიას მიერ.

გესაუბრებოდათ დავით თაბორიძე!..
================================

[illegible] რადიოთ [illegible]!..

([illegible]...)

NK 363
ეროვნული
ბიბლიოთეკა